

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო



აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პროგრამა

2018 წელი

გავრცელების არეალი და ერონოლოგია

აზიური ფაროსანას სამშობლო



იაპონია


კორეის ნახევარკუნძული

სამხრეთ ჩინეთი

ამ ტერიტორიებზე აზიურ ფაროსანას ყავს ბუნებრივი მტერი და მავნებლის პოპულაციის რიცხოვნობა კონტროლირებადია


გავრცელება მსოფლიოში

2004 წლიდან: ევროპა (შვეიცარიის კონფედერაცია, იტალიის რესპუბლიკა, საფრანგეთის რესპუბლიკა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, უნგრეთი, საბერძნეთის რესპუბლიკა, რუმინეთი, ბულგარეთის რესპუბლიკა, რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკა)



2001 წლიდან: აშშ
(ოფიციალურად
იდენტიფიცირება და
რეგისტრირება)

მავნებლის მახასიათებლები



კოლიფაგი მწერი

იკვებება და ზიანს აყენებს 300-ზე მეტ სასოფლო-სამეურნეო, დეკორატიულ და ტყის მცენარეს

გადაადგილების მანძილი

შეუძლია დღეში 35 კმ. მანძილზე ფრენა. გადაადგილება კულტურებზე და ტერიტორიებზე ძნელად პროგნოზირებადია

დაზიანების მაღალი მაჩვენებელი

ძლიერი ინვაზიის დროს მოსავლის 70 %-ის დაზიანება შეუძლია

გამოზამთრების ადგილები

ტყისპირები, ბუჩქნარები, ხეების ფულუროები, შენობა-ნაგებობები, სადგომები, სათავსოები, ყუთები...


ბუნებრივი მტრის არარსებობა

საქართველოს ეკო-სისტემაში ჯერჯერობით არ არის იდენტიფიცირებული მავნებლის ბუნებრივი მტერი, რომელიც მის პოპულაციას გააკონტროლებს

რეპროდუქციის მაღალი უნარი

1 მდედრი მწერი გამრავლების ერთ ჯერზე დაახლ. 200 შთამომავალს იძლევა, საქართველოს პირობებში წელიწადში მინიმუმ 2-ჯერ მრავლდება

2016-2017 წლებში განხორციელებული ღონისძიებები



2016 წ.
ნოემბერი

ევროპელი და ამერიკელი ექსპერტების ჩართულობით შემუშავდა აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის სტრატეგია

სამი ძირითადი მიმართულება:

1. საინფორმაციო კამპანია
2. მონიტორინგი
3. ქიმიური ღონისძიებები



2017 წ.
მარტი

საქართველოს მთავრობამ მიიღო განკარგულება N 588 “აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ”.

2017 წელს სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ჩატარებული სამუშაოები

1

აზიური ფაროსანას მონიტორინგის სისტემის დანერგვა

- 21,000 ფერომონიანი მოსაზიდი ხაფანგი განთავსდა მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე

2

ქიმიური საშუალებები და ტექნიკა

- გამოყენებული იყო მსოფლიოს წამყვანი ენტომოლოგების მიერ რეკომენდებული ბიფენტრინის ჯგუფის პრეპარატები
- სამეგრელოს, გურიის, იმერეთის მუნიციპალიტეტებს გადაეცა ინსექტიციდები, შემსხურებელი აგრეგატები, ინდივიდუალური დაცვის საშუალებები; გალის რაიონს და აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაეცა პრეპარატები
- სამეგრელოში, გურიაში, აჭარასა და იმერეთში დაახლოებით 230 ათას ოჯახს გადაეცა პრეპარატები, ფერომონები და საინფორმაციო მასალები
- სატრაქტორო და სამანქანე აგრეგატებით, საავიაციო ტექნიკით 110,000 ჰექტარზე მეტი ფართობი დამუშავდა

3

საინფორმაციო კამპანია

- გავრცელდა 700,000-ზე მეტი საინფორმაციო ბროშურა
- მას-მედიაში აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის ღონისძიებები და რეკომენდაციები რამდენიმე ათასჯერ გაშუქდა
- გააქტიურდა სურსათის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდი სოციალური ქსელის გვერდი
- 12,000-იანი ტირაჟით დაიბეჭდა და რეგიონებში გავრცელდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს გაზეთის "ჩვენი სოფელი" სპეციალური ნომერი

2018 წელს აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა ძირითადი მიზანი

აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე მავნებლის სრული მოსპობა შეუძლებელია, თუმცა, შესაძლებელია მისი პოპულაციის კონტროლი და მართვა, რაც უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაცვას და მოსავლის დანაკარგების მოქცევას 5-15 %-ის ფარგლებში

2018 წელს აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა ძირითადი მიზანია გარემოსადმი ნაკლებად მავნე ტექნოლოგიების გამოყენებით მავნებლის რიცხოვნობის შემცირება და კონტროლი, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზიანება და მისგან გამომწვეული ეკონომიკური ზარალი.

სახელმწიფოსა და საზოგადოების როლები აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის ღონისძიებებში

აზიური ფაროსანას რიცხოვნობის მინიმალურ ზღვრამდე დაყვანა და კონტროლი (შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო და სატყეო კულტურების ზიანისა და ეკონომიკური ზარალის შემცირება) მიღწევადია მხოლოდ სახელმწიფოს, ფერმერების და მთლიანად საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევით.

სახელმწიფოს როლი

სახელმწიფო მავნებლის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს ახორციელებს:

- სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე
- კერძო სავარგულებზე, სადაც აუცილებელია სპეციალიზებული ტექნიკის გამოყენება


სახელმწიფო უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებულობას:


- მავნებელთან საკუთარი ძალებით ბრძოლისთვის აუცილებელი პრეპარატების, მექანიკური საშუალებებისა და ტექნიკის გამოყენების შესახებ
- მავნებლის ბიოლოგიის შესახებ
- გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების ზომების შესახებ


საზოგადოების როლი


- ფერმერებმა დროულად და სრულყოფილად უნდა ჩაატარონ აგროტექნიკური სამუშაოები საკუთარ სავარგულებში
- ბიზნეს-ორგანიზაციებმა უნდა განახორციელონ სახელმწიფოს მიერ მიწოდებული რეკომენდაციები საკუთარი საქმიანობის არეალში
- მოსახლეობამ შესაბამის სტრუქტურებს უნდა შეატყობინოს მავნებლის ინვაზიის შემთხვევების შესახებ

აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის ღონისძიებები: 4 ძირითადი მიმართულება

1 საინფორმაციო კამპანია 

2 მონიტორინგის სისტემა 

3 აზიური ფაროსანას კონტროლის ღონისძიებები 

4 სამეცნიერო - კვლევითი სამუშაოები 

1. საინფორმაციო კამპანია

ძირითადი გზავნილები

- სახელმწიფოსა და მოსახლეობის ერთობლივი ჩართულობის აუცილებლობა
- სახელმწიფოს აქტივობების არეალი: სახელმწიფო ღონისძიებებს ახორციელებს მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე და იმ კერძო სავარგულებზე, სადაც აუცილებელია თანამედროვე სპეციალიზებული ტექნიკის გამოყენება
- მოსახლეობის უზრუნველყოფა რჩევებით მავნებელთან ბრძოლის შესახებ

გავრცელების არხები

- ტელევიზია, რადიო, ბეჭდური მას-მედია, ელექტრონული მას-მედია
- სოციალური ქსელები
- სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებების ვებ-გვერდები, ცხელი ხაზი
- სასოფლო-სამეურნეო საშუალებების მომწოდებლები, ფერმერთა მომსახურების ცენტრები, სასოფლო-სამეურნეო დარგთან დაკავშირებული ფინანსური ინსტიტუტები
- საზოგადოებასთან პირდაპირი ურთიერთობები
 - ტრენინგები ტრენერებისთვის
 - ტრენინგები და სადემონსტრაციო დღეები ფერმერებისთვის



2. მონიტორინგის სისტემა

არსი

მაღალი რისკის ზონებში, ტყის საფარებში, დაცულ ტერიტორიებზე ფერომონიანი ხაფანგების განლაგება, რომლებიც იზიდავს მავნებელს, იძლევა მისი გავრცელების არეალის და ინტენსივობის დადგენის შესაძლებლობას და საპასუხო ღონისძიებების ოპერატიულად და შედეგიანად განხორციელების საშუალებას.

მონიტორინგის სისტემის შედეგები

- ციფრული რუკების შექმნა, მავნებლის ბიოლოგიისა და რიცხოვნობის შესწავლა გრძელვადიან პერსპექტივაში ბრძოლის გეგმის შემუშავებისთვის
- მონიტორინგის შედეგების ასახვა ერთიან ელექტრონულ საინფორმაციო სისტემაში და მათზე წვდომა საზოგადოებისათვის



მონიტორინგის პროცესში სახელმწიფოსთან ერთად სრულფასოვნად იქნება ჩართული მოსახლეობა და მათგან მიღებული შეტყობინებები დაფიქსირდება ამ მიზნით შექმნილი სატელეფონო ცხელი ხაზის და ყველა მუნიციპალიტეტში არსებული საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების საშუალებით.

3. აზიური ფაროსანას კონტროლის ღონისძიებები

ტერიტორიების დამუშავების ქიმიური საშუალებები და ტექნიკა

- ბიფენტრინის შემცველი ინსექტიციდები, ზეთოვანი ინსექტიციდები (თერმული ნისლის ტექნოლოგია), ფერომონიანი სატყუარები „მოიზიდე და მოკალი“ სადგურებისთვის.
- სამანქანო-სატრაქტორო შემსხურებელი საშუალებები
- სპეციალიზებული ტექნიკა და მსუბუქი საავიაციო ტექნიკა (დაუსახლებელ, არა საკარმიდამო ტერიტორიებზე)

საბაჟო კონტროლი

- საქართველოს სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებში მცენარეებისა და ნარგავების იმპორტის და ექსპორტის გაძლიერებული ფიტოსანიტარული კონტროლი



4. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

მიზნები

- მავნებლის ბიოლოგიის და რიცხოვნობის დინამიკის შესწავლა საქართველოს პირობებში
- მავნებლის ბიოლოგიური მტრების გამოვლენა, მათი გამოყენების შესაძლებლობა და მიზანშეწონილობა
- მონიტორინგისა და მცენარეთა დაცვის საშუალებების ეფექტიანობის შესწავლა
- მონაცემთა ბაზის და ციფრული რუქების შექმნა

ჩართული მხარეები და ღონისძიებები

- სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი
- საქართველოს სამეცნიერო-აკადემიური წრეები
- უცხოელი სპეციალისტები და საერთაშორისო ორგანიზაციები
- სპეციალიზებული სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის შექმნა
- მეცნიერების მივლინება უცხოეთში საერთაშორისო ცოდნისა და გამოცდილების მისაღებად
- ადგილობრივი კონფერენციები, შეხვედრები, სემინარები...



მოსალოდნელი შედეგები

1

სასოფლო-სამეურნეო და სატყეო კულტურებზე მიყენებული ზიანის შემცირება

2

ცალკეული ფერმერებისათვის და ქვეყნის ეკონომიკისთვის მიყენებული ზარალის შემცირება

3

სპეციალური ტექნიკის პარკის შექმნა, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია სხვა სასოფლო-სამეურნეო მიზნებითაც

4

მეტი გამოცდილება და ფაქტობრივი მონაცემი მავნებლის ბიოლოგიის, გადაადგილების მარშრუტების, რიცხოვნობის შესახებ, რაც აისახება სათანადო მონაცემთა ბაზებში და გამოყენებული იქნება მავნებელთან შემდგომი ბრძოლის ოპტიმიზაციისთვის

5

ურბანულ დასახლებებში პარკებისა და სკვერების მცენარეებისთვის მიყენებული ზიანის შემცირება

პროგრამის განხორციელებაში ჩართული მხარეები

პროგრამის განმახორციელებელი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მისი შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები

ჩართული მხარეები

- ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო USAID და მის მიერ დაფინანსებული პროექტები
- ევროკავშირის ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების პროგრამა EU CIB
- კომპანია “ფერეროს” წარმომადგენლობა საქართველოში “აგრი ჯორჯია”
- საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
- საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია
- საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
- სასოფლო-სამეურნეო სფეროში მომუშავე დარგობრივი ასოციაციები

პროგრამის განხორციელებაში ჩართული მხარეები

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
2. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
3. საქართველოს შრომის, სოციალური უზრუნველყოფისა და ჯამრთელობის დაცვის სამინისტრო
4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
7. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
8. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა
9. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა
10. ადგილობრივი თვითმმართველობები
11. საქართველოს პარლამენტი
12. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

მადლობა ყურადღებებისთვის



საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტრო